სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**კავკასიოლოგია** **Caucasiology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კავკასიოლოგიის მაგისტრი** **Master of Caucasiology** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი კავკასიოლოგიაში** **Master of Research in Caucasiology**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის 60 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 1) სავალდებულო სასწავლო კურსები: • 25 ECTS კრედიტი ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის; • 10-35 ECTS კრედიტი სამაგისტრო პროგრამაში შემავალი მოდულებისა და ქვემოდულის სავალდებულო კურსებისათვის (I მოდულისთვის სავალდებულო საგნების მოცულობა შეადგენს 15 ECTS კრედიტს, ხოლო ქვემოდულებისთვის - 15-20 ECTS კრედიტს, II მოდულისათვის – 10 ECTS კრედიტს. 2) არჩევითი სასწავლო კურსები: 5-25 ECTS კრედიტი არჩევითი კურსებისთვის (I მოდულისთვის –5 ECTS კრედიტი, II მოდულისთვის – 25 ECTS კრედიტი) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის 60 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: ა) სასწავლო კომპონენტი – 30 ECTS კრედიტი. აქედან 5 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო სასწავლო კურსს. 5-15 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამაში შემავალი მოდულების სავალდებულო კურსებისათვის (I მოდულისთვის სავალდებულო საგნების მოცულობა შეადგენს 5 ECTS კრედიტს

	მოდულისთვის და 5-10 ECTS კრედიტს ქვემოდულებისთვის, ხოლო II მოდულისათვის – 15 ECTS კრედიტს). არჩევითი სასწავლო კურსები: 5-15 ECTS კრედიტი არჩევითი კურსებისთვის (I მოდულისთვის – 5-10 ECTS კრედიტი, II მოდულისთვის – 15 ECTS კრედიტი) კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი. კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტის) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის კოორდინატორი	პროფ. მერაბ ჩუხუა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კავკასიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილზე დაშვების წინაპირობებია: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა კავკასიოლოგიაში; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➢ გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; ➢ უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) **კავკასიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 ECTS კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ კავკასიოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** თანამედროვე შრომის ბაზრისა და დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს რეგიონის შესახებ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მათ შეუძლიათ: 1. კავკასიოლოგიის დარგობრივ საკვანძო საკითხებში ცოდნის გაღრმავება რეგიონში გავრცელებული ავტოქთონური ენების თავისებურებათა აქცენტირებით; 2. თანამედროვე კავკასიოლოგიის ძირითადი მიმართულებების, სპეციფიკისა და სადისკუსიო თემების საფუძვლიანი ცოდნა (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) და პრაქტიკაში გამოყენება; 3. საველე ენობრივი მასალების გააზრების საფუძველზე და გამოცემული ენობრივი ტექსტების, კორპუსული ლინგვისტიკისა და ენობრივი პირველწყაროების მოხმობით ამა თუ იმ ენის დესკრიფციული აღწერა და სათანადო ანალიზი; სტრუქტურიზებული ლინგვისტური ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია. 4. პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით რეალიზაცია; კავკასიოლოგიის პოპულარიზაცია; 5. თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; კავკასიის რეგიონის ენობრივი, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი მენტალობა-ფასეულობების პატივისცემა, კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის გამოვლენა. **კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის**

	მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს რეგიონის შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მათ შეუძლიათ: 1. კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება; კავკასიოლოგიის საკვანძო საკითხებში ცოდნის გაღრმავება რეგიონში გავრცელებული ავტოქთონური ენების თავისებურებათა აქცენტირებით; 2. მეთოდოლოგიური მომზადების გაღრმავება და სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენება; მრავალფეროვანი ენობრივი წყაროების გამოყენებით, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მცირე მასშტაბის კომპლექსური კვლევის ჩატარება; 3. თანამედროვე კავკასიოლოგიის ძირითადი მიმართულებების, კონცეფციების, სპეციფიკისა და სადისკუსიო თემების საფუძვლიანი ცოდნა (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) და პრაქტიკაში გამოყენება; 4. საკუთარი კვლევითი პროექტისათვის დისციპლინათაშორისი მიდგომების ჩარჩოებში თანამედროვე კავკასიოლოგიური კვლევა-ძიებების მეთოდების, თეორიული და საველე ენობრივი მასალების გააზრების საფუძველზე ქართულ-დასავლური პრაქტიკის პოზიტიური შედეგების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მომზადება და ჩატარება; 5. გამოქვეყნებული ენობრივი ტექსტების, კორპუსული ლინგვისტიკისა და ენობრივი პირველწყაროების მოხმობით ამათუიმ ენის დესკრიფციული აღწერა და სათანადო ანალიზი; სტრუქტურიზებული ლინგვისტური ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია. 6. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით რეალიზაცია; დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობა და მუშაობა აკადემიურ ჯგუფებში; უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა, ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში, კავკასიოლოგიის პოპულარიზაცია; 7. თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის

	პატივისცემა; კავკასიის რეგიონის ენობრივი, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი მენტალობა-ფასეულობების პატივისცემა, კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის გამოვლენა.
სწავლის შედეგები	კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული კავკასიოლოგი მაგისტრი **1.** გადმოსცემს იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ ღრმა ცოდნას, აჩვენებს კავკასიის ენდემური ენების თავისებურებებს და იყენებს მათ პრაქტიკაში. **2.** ითავისებს თანამედროვე კავკასიოლოგიის სპეციფიკას, მოიძიებს და აანალიზებს იბერიულ-კავკასიურ ენებზე არსებულ ქართულენოვან და უცხოენოვან წყაროებს და იყენებს მათ პროფესიული საქმიანობისას. **3.** შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით ფართო ონლაინ-რესურსების სპექტრში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და საველე პირობებში მოიძიებს ავთენტურ ენობრივ მასალებს და იყენებს მათ პროფესიული საქმიანობისას.
ბ) უნარები	**4.** ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, ავითარებს საკუთარ აზრს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; **5**. ხელს უწყობს კავკასიოლოგიის პოპულარიზაციას; ახდენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის რელევანტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების აკადემიური ეთიკის დაცვით პრეზენტაციას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**6.** აფასებს და მხარს უჭერს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს და თავის ქცევას დისკუსიის/დებატების პროცესში წარმართავს განსხვავებული აზრის პატივისცემისა და საკუთარის კორექტულად გამოხატვის დაცვით. **7**. ითავისებს რა დასავლურ ღირებულებებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე კავკასიის რეგიონის ენობრივ-ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და კულტურულ

	მემკვიდრეობას, პატივს სცემს მეზობელ ხალხთა ფასეულობებს და ავლენს საერთოკავკასიური ტოლერანტობის განცდას.
სწავლის შედეგები	კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კავკასიოლოგი კვლევის მაგისტრი **1.** გადმოსცემს იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ ღრმა ცოდნას და აჩვენებს კავკასიის ენდემური ენების თავისებურებებს. ფლობს კავკასიოლოგიის თანამედროვე დარგობრივ კვლევით მეთოდებს, განასხვავებს მათ სპეციფიკას პროგრამის საჭიროების მიხედვით და იყენებს პრაქტიკაში. **2.** ითავისებს თანამედროვე კავკასიოლოგიის კვლევის სპეციფიკას, კრიტიკულად მიმოიხილავს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლების კონცეფციებს და იყენებს დარგის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და ხერხებს. მოიძიებს და აანალიზებს იბერიულ-კავკასიურ ენებზე არსებულ ქართულენოვან და უცხოენოვან წყაროებს, აცნობიერებს შესაძლო მიკერძოებულ დამოკიდებულებებს და სხვადასხვა შემოწმებულ წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს მცირე მასშტაბის კომპლექსურ კვლევებს. **3.** აღწერს ლინგვისტური კავკასიოლოგიის სფეროში არსებულ მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს და აქტუალურ კვლევით პრობლემებს; კრიტიკულად აფასებს ლინგვისტური კავკასიოლოგიის მდგომარეობას მსოფლიოს მასშტაბით. **4.** შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით ფართო ონლაინ-რესურსების სპექტრში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და საველე პირობებში მოიძიებს ავთენტურ ენობრივ მასალებს და მათზე დაყრდნობით ახორციელებს კომპლექსურ კვლევას და წერს მკაცრად ანალიტიკურ და კვლევითი ხასიათის სტრუქტურიზებულ სამაგისტრო ნაშრომს (განვლილი პროგრამული მოდულის მიხედვით) კავკასიოლოგიური კვლევების არჩეულ თემაზე.
ბ) უნარები	**5.** განსაზღვრავს საკუთარი კვლევითი პროექტისათვის აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას და კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ზოგადთეორიული და შედარებითი მიდგომებით ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, ავითარებს საკუთარ აზრს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.

	6. შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს როგორც ქართულ, ისე რუსულ ან რომელიმე ევროპულ ენაზე (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) კავკასიოლოგიური პროფილის სამეცნიერო ტექსტს (რეფერატი, აბსტრაქტი და სხვ.), ასევე აკეთებს მშობლიურ ენაზე პრეზენტაციას, ამზადებს თეზისებსა და მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის. **7**. ასრულებს მსხვილმასშტაბიან და ხარისხიან სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც გადაწყვეტილია ლინგვისტური კავკასიოლოგიის აქტუალური პრობლემა; ხელს უწყობს კავკასიოლოგიის პოპულარიზაციას. **8**. სამეცნიერო სივრცეში წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას; ახდენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის რელევანტურ სამეცნიერო საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარ კვლევათა შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით კომუნიკაციას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**9**. აფასებს და მხარს უჭერს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს და თავის ქცევას დისკუსიის/დებატების პროცესში წარმართავს განსხვავებული აზრის პატივისცემისა და საკუთარის კორექტულად გამოხატვის დაცვით. **11**. ითავისებს რა დასავლურ ღირებულებებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე კავკასიის რეგიონის ენობრივ-ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობას, პატივს სცემს მეზობელ ხალხთა ფასეულობებს, ახდენს მასთან ადაპტაციას და განავითარებს საერთოკავკასიური ტოლერანტობის განცდას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მე¬თო-დებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები. დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას,

	სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობისსტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

	ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას – (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ.

	სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში; • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე; • სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში; • ტურიზმის სფეროში; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.); • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული

	ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი: 1. ჯონი კვიციანი, ასოცირებული პროფესორი; 2. მერაბ ჩუხუა, პროფესორი, პროგრამის კოორდინატორი; 3. ცირა ბარამიძე, პროფესორი; 4. რევაზ აბაშია, ასოცირებული პროფესორი; 5. ნანა მაჭავარიანი, ასოცირებული პროფესორი; ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტისა და შესაბამისი პროფილის სხვა ს/ს ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები: 1. მ. ჯიქია - პროფესორი 2. ნ. გელოვანი - პროფესორი 3. მ. ჩხარტიშვილი - პროფესორი 4. ფ. ანთაძე-მალაშხია - ასოც. პროფესორი 5. მ. კალანდაძე - ასოც. პროფესორი 6. გ. ლობჟანიძე - ასოც. პროფესორი 7. ქ. ლორთქიფანიძე - ასოც. პროფესორი 8. ე. კობახიძე - ასოც. პროფესორი 9. მ. ქართველიშვილი - ასისტ. პროფესორი 10.ნ. ანთელავა 11.ო. გაბუნოა 12.გ. ომსარაშვილი 13.ე. ასლანოვა 14.რ. ლოლუა 15.ნ. რუხაძე 16.ნ. არდოტელი 17.გ. გოგოლაშვილი 18.ა. ბასილაშვილი 19.თ. უჯუხუ 20.ვ. შენგელია 21.ნ. აბესაძე 22.გ. სოსიაშვილი 23.ო. ტიგიევი

	24.ნ. ბეპიევი 25.მ. ბუკია 26.გ. უგულავა 27.შ. გაბესკირია კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთე-კებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს-ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N13-ში, თსუ VIII კორპუსი; აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N36-ში, თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია მაქს. 15 სტუდენტის მიღება.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	